№490 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მე-3 პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 11 მარტის №5/11436 გადაწყვეტილება ქ. ახალციხეში, „ალფა მარკეტის“ მიმდებარედ არსებული 54 გრძივი მეტრი ხიდის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №62.00.052) ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ (ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სარგებლობის ხიდი).

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**